IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს პარლამენტარების საწვავის ხარჯები 2018-2020 წლებში

კვლევის ფარგლებში, IDFI-მ საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა 2018-2020 წლებში საქართველოს პარლამენტარებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ მოხმარებული საწვავის და გავლილი კილომეტრაჟის შესახებ ინფორმაცია. კვლევის პერიოდი ემთხვევა პარლამენტის ადგილმდებარეობის ცვლილებას ქუთაისიდან თბილისში და კორონავირუსის პანდემიის შედეგად ქვეყანაში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობის პერიოდს, როდესაც დაწესებული იყო კომენდანტის საათი და მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო ავტომობილებით გადაადგილება.

ძირითადი მიგნებები

პარლამენტის ბალანსზე რიცხული **98 ავტომობილიდან 50 განპიროვნებულია პარლამენტის წევრებზე,** რომელთა შორის ჭარბობს 2015 წელს შესყიდული TOYOTA CAMRY-ის მოდელის ავტომობილები.

2019 წელს (პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ) წინა წელთან შედარებით დეპუტატების მიერ **მოხმარებული საწვავი მხოლოდ 14%-ით შემცირდა.**

პარლამენტარების მიერ ათვისებული საწვავის რაოდენობა ხშირ შემთხვევაში არ იცვლება, იმ თვეებშიც როცა 1 კვირიან ან უფრო ხანგრძლივ მივლინებებში იმყოფებიან საზღვარგარეთ.

2019 წელს 15 დეპუტატის შემთხვევაში, დაფარული მანძილი აღემატება 50 ათას კილომეტრს. მათ შორის **ყველაზე დიდი მანძილი დაფარეს** - დიმიტრი ხუნდაძე - 59,946 კმ, გიორგი ბეგაძე - 57,415 კმ, ზაზა გაბუნია - 56,420 კმ, ილია ნაკაშიძე - 55,966 კმ.

2019 წელს **ყველაზე მეტი საწვავი** ილია ნაკაშიძემ (7,791 ლიტრი), ირაკლი კოვზანაძემ (7,197 ლიტრი), აკაკი ზოიძემ (7,071 ლიტრი), მამუკა მდინარაძემ (7,015 ლიტრი) და ზაზა გაბუნიამ (6,771 ლიტრი) მოიხმარეს. მათ მიერ მოხმარებული საწვავი აღემატება ან/და დაახლოებით იგივე ნიშნულზეა რაც 2018 წელს, როცა პარლამენტი ქუთაისში ფუნქციონირებდა.

2019 წელს საქართველოს პარლამენტარებზე განპიროვნებული ავტომობილები საშუალოდ ფარავდნენ 41,775 კილომეტრს, ხოლო 2018 წელს 48,544 კილომეტრს.

2020 წლის აპრილი-მაისის პერიოდში (საგანგებო მდგომარეობის პერიოდი) წინა წლის ანალოგიურ თვეებთან შედარებით პარლამენტარების მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა **დაახლოებით 30%-ით (14 ათასი ლიტრით) შემცირდა.**

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში (აპრილი-მაისი) **ყველაზე მეტი საწვავი მოიხმარეს** - დიმიტრი ხუნდაძემ (1,128 ლიტრი), გიორგი წერეთელმა (1,119 ლიტრი), ირაკლი კოვზანაძემ (1,073 ლიტრი), მარიამ ჯაშმა (1,024 ლიტრი) და რატი იონათამიშვილმა (955 ლიტრი).

საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, სხვადასხვა დეპუტატებზე განპიროვნებულმა ავტომობილებმა (მაგ. დიმიტრი ხუნდაძე, გიორგი წერეთელი, გოჩა ენუქიძე, ირმა ინაშვილი, რატი იონათამიშვილი) **საგანგებო მდგომარეობის პერიოდში უფრო მეტი საწვავი მოიხმარეს ვიდრე წინა წლის იგივე თვეებში.**

პარლამენტარების მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა (2019 წლის TOP 5)

რეკომენდაცია

IDFI მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, ინსტიტუტის კვლევებში სახელმწიფო ავტოპარკის განკარგვასთან დაკავშირებით გამოვლენილ სისტემურ ნაკლოვანებებზე განახორციელოს საპარლამენტო კონტროლი და არსებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება.

Supported by Luminate
Building stronger societies

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას.